

ქვირა, 21 აგვისტო, 1916 წ. რედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6. ფურთი 15 კან.

მშვიდე ადამიაზ

ადამიაზის 34

იუმორისტი
უურნალი

საზოგადო კრება თელავის წერილ კრედიტისა



საზაფხულო, უფასო და უაზრო გასართობი სოფლის მცხოვრებთათვის თელავის წერილ კრედიტის
საზოგადოების მიერ გამართული.

გონის მოდითი ქართველურო!

რამდენსაც შეტბ ვუკვირდები ჩეენებურ, ჰეშ-მარიტ ქართულ დაუდევრობას, იმდენათ გული მე-კოდება, მიწყლულდება და მიკოდება.

ჩეენ არ ვიცით „შინაური მღვდლის უნდობა“, ხოლო უცხოსა და გარეშეს თავს ვევლებით.

საქამარისია ვიღაც შმოლერმა, კარპა, მარგილომანმა, ფილიპესუმ, იონესუმ, ტაკიონესუმ, ბურიანმა თუ მურიანმა რაიმე სიტყვა დასძრას, რომ მეორე დღესვე ჩეენს გაზეთებში უკვე გამოჟიმულია მთელი სიგრძე-სიგანით.

ამავე დროს ჩეენს საკუთარ ფილოსოფოსთა აზრს არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ, მათ ნაწერს არ ვკითხულობთ, მათ ცხოვრებას არ ვეცნობით.

რუსეთის სამხატვრო უურნალთა საზაფხულო ნომრები სავსეა იქაურ მელპომენას ქურუმთა სურათებით. იხატება მათი საზაფხულო სამყაფი, სკამები, რომელზედაც ისინი სხედან, მდინარეები, რომელშიაც ბანაობენ, ცხენები, ან ნავები, რომლითაც სეირნობენ და სხვ.

მე რასაკვირველია ისე შორს ვერ წავალ, რომ ჩეენი მელპომენის ქურუმთათვის მოვითხოვ ამდენი ყურადღება, (მათ წარმოდგენის დროსაც ხშირად არავინ აქცევს ყურადღებას), მაგრამ უდიდეს მოაზრეთა და ერის ინტელექტთა შესახებ კი გვაქვს უფლება, გავახსნოთ ქართველ ხალხს მისი უმაღლერაბა.

ეს მწარე ფიქრები მომისია ბ-ნი გრიგოლ რო-ზაქიძის წერილმა; რომელიც მოთავსებულია „სახალ-ხო ფურულის“ მე-614 ნომერში ქ-ნ ეკატერინე სა-რაჯიშვილის გვერდით. ნუ თუ ეს სამაგალითო წე-რილი და მისი ივტორი ლირი არ არის ქართველი ერის უდიდესი ყურადღებისა? მე დარწმუნებული ვარ, ბ-ნი რობაჟიდე თუ ნემეცი, ფრანგი ან ინგლი-სელი ყოფილიყო, მთელ დუნიას ქექა-ქუხილით მოივლიდა მისი სახელი. ჩეენში კი? ჩეენში მართალია მისი სახელი და გარი ბევრმა იცის, მაგრამ რას აკეთებს, რას სწერს და რას ლაპარაკობს, თი-თქმის არავინ იცის.

ი ამას ვთვლი მე ქართველი ხალხის მიუტე-ვებელ შეცოდებათ. ვიცი ეს შეცოდება მაშინ გა-გვახსნდება, როცა ყევნის ლაშქარსავით დაწყობილ-ნი, „წმინდაო ღმერთოს“ გალობით დიდუბის პან-

თეონისაკენ გაუძლვებით უდიდესი ქართველის ცხ-დარს, მაგრამ ეს ხომ გვიან იქნება?

თითონაც მუდამ ეამს ამას რომ არ ჩაგეჩიჩი-ნებდეს, ჩეენ ჩვენითაც უნდა მიგხვდეთ, რომ ქარ-თული აზროვნება ამ უდიდესი ფილოსოფოსის გარ-შემო ტრიალებს. ბევრიც მოინდომა პატიცეცმულმა კიტა აბაშიძემ, გამოენახა ორი-სამი სხვა ბუმბერაზი, ყევარი გრიგოლ რობაჟიძისა, მაგრამ ჩეენის შეხ-დულობით შრომა ამაო გამოდგა:

ერთი გვყავს ეული!

ერთი გვყავს უცალი!


გვიცოცხლე გრძნეული,

გვიცოცხლე უფალო!

როცა მთელი სამყარო ერთ გიურ კოცონს წარმოადგენს ცეცხლის ალში გახვეულს, ჩვენი უდი-დესი ხელოვანიც სწორეთ ამ „კოცონს“ ასურათ-ხატებს თავის უკანასკნელ ნაწარმოებში, რომელსაც „სიმფონიის ნატეხი“ ეწოდება. ჩვენთვის, ქართვე-ლებისათვის, „მჭადის ნატეხიც“ ხელ მიუწვდომელი შეიქნა, არა თუ „სიმფონიის ნატეხი“, მაგრამ მე მსურს „ეშმაკის მათრახის“ უიღბლო მკითხველებმა მოისმინონ ნამდვილი სიტყვა ხელოვანისა. სურათი, რომელიც თან ახლავს „სიმფონიის ნატეხს“, ორი-გინალში, რასაკვირველია, არ იყო, მაგრამ ჩეენ ვსურანით საჭირო ზოგიერთა ბუნდოფანი (ანუ ღრმა ფილოსოფიური) ადგილების განსაშუქებლათ მისი დახატვა.

ქართველებო! დროა გონს მოხვიდეთ.

ეშმაკი.



ჭრელი ამბები

მარჯვენა და მარცხენა

ვგონებ „ქილილისა და დამანაში“ სწერია: „ჰემას მარჯვენამან შენმან არა იციდეს, რასა იქ-მოდეს მარცხენა შენიონ“.

რუსული „საქართველო“ ანუ, ეგრეთ წოდე-ბული „ზაკავკაზისკაია რეზი“ დიდის სიმეტრით მოს-დგა და ტყავს აძროს ბ-ნ შაშკოვსკის; საჭიროა ის-

დაისაჯოს, როგორც უვარებისი მოხელე და ხალხის ორგული პირი.

ამივე დროს ქართული „ზაქავეაზესკაია რეჩი“, ანუ ეგრეთ წილებული გაზეთი „საქართველო“, იმსვე გ-ნ შაშუოვსის უდიდეს წარჩინებას აძლევს.

აღნიშნული გაზეთის 179 ნომერში ვკი-ხულობთ:

„ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი ვ. ნ. შაშ კვესი თბილისიდან სამხედრო გზით რუსეთს გაემზადრა“.

აღარ იცი რომელს დაუჯერო: ერთი საკუთარ ტყავს აძრობს და მეორე სამინისტრო ქურქში ახ-ვეს.

—

„მაცდილოსანი“

მას შემდეგ, რაც ქალებმა ერთი უხეირო ხელი დაიჩემეს, სიტყვა მანდილოსანი ცოტა საშიში ტერმინი შეიქნა. ქალაქი გორი ტყვილათ როდი ძრწის მათი შიშით! მანდილოსანთა კრება ძველათა სახიფათო და შიშის მომგვრელი იყო, არა თუ დღეს.


ხაშურელებსაც ამისი ეშინოდათ, როცა იქ „მანდილოსანი“ არსდებოდა. ეშინოდათ და შიში არც თუ სრულიად უსაფუძლო გამოდგა. ამ წინაზე „მანდილოსანმა“ „საღამო“ გამართა და როგორც მიღებულია, საქველმოქმედო საღამოს ამავე სახელობის ვახშამი მოჰყევა, რომელმაც გათენებამდე გასტანა.

გათენებისას ნაგახში „მანდილოსანი“ ბაზარში გამოაშლა და სწორეთ „ბაზრობას“ წააწყდა. ინსტინქტმა გაიღვია და როგორც „ეშმაკის საგენტო“ იუწყება სანვაგე საგრძნობლათ იქმნა დაზიანებული.

საზოგადოება „მანდილოსანი“ ჯერ ერთობ ნორი და ახალგაზდაა. ამიტომ თამამთ შეგვიძლია მიუღმდეროთ:

პატარა ხარ, აგეთი ხარ
გაიზრდები რა იქნებიო.

მახათი.



გ უ რ ი ა ნ ი

(ხაშური).

მე მეტის-მეტათ შურიანი ვარ. თითონაც ვერჩობ ამას, კიდევაც ვცდილობ გაესწორდე, მაგრამ რავენა, ვერ დავსძლივ ეს ბოროტი გრძნობა. სხვისი ქება მძაღს. ისე მეზარება, როგორც თათარს ღორის ხორცა. (თუ კი იშოვნა).

აი ახლაც. მინდა ხაშურის ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილების გიმგეობის მოქმედებაზე ვიღოპარა-კო და განვებ მათ სახელგვარს არა ვწერ, იმიტომ რომ საქები არიან. აბა ერთა გასალანდი ყოფი-ლიყვენ. მაშინვე მოგდებული და მთელს მათ ახლო და შორეულ ნათესაობას მოვიხსენიებდი, არა თუ მარტო სახელსა და გვარს. ასეთია ჩემი ბოროტი ხასიათი.

ჯერ ერთი წელიწადიც არ არის. რაც გამ-გეობა არჩეულია. ერთი წელიწადი რა ამდენი მან-ძილია, სულ რაღაც 12 თვე, 52 კვირე, ან 365 დღე. და აი იმ ერთ დახმახამებაზი ჩვენმა გამგეო-ბამ ხაშურის საზოგადოება კულტურის პირები საფეხურიდან უკვე მეხუთეზე აახტუნა. თითქმის ყველა მახლობელ სოფლებში გახსნა სამკითხველოე-ბი, უფასო სკოლები. საღამოს კურსები და სახალ-ხო უნივერსიტეტები. თითონ ხაშური ხომ პირდა-პირ განცხომაშია: აქაური სამკითხველო, ეგ მი-საბაძი დაწესებულებაა, საღაც შეუძლია მსურველს შეიწავლოს იმგვარ დაწესებულებათა მოწყობა. სა-ხალხო უნივერსიტეტი ყვავის; საღამოს კურსებს აუარებელი ხალხი ესწრება. ამას უნდა ვუმაღლო-დეთ ჯერ რასაკვირველია ადგილობრივ გამგეობის ენერგიულ მოქმედებას და შემდეგ ადგილობრივ მასწავლებლებს. წარმოიდგინეთ არ დარჩენილა არც ერთი მათგანი, რომ საზოგადოების წევრიათ არ ჩა-წერილიყოს და უმნიშვნელო გადასახადის გაღება-სთან ერთად სიამოვნებით არ მუშაობდეს გამგეო-ბის მიერ უხვათ გახსნილ კულტურულ დაწესებუ-ლებებში.

მე არ ვიზიარებ იმ გულგატებილთა აზრს, რომელიც ყოველ გზა ჯვარედინზე გაჰქივიან: — ქართველი ხალხი უენერგიია, არაეითარი საქმის უნარი და საზოგადოებრივი ინსტიტუტი მას არ მოე-პოვბაო.

მობრძანდოთ, ბატონებო, დაბა ხაშურში, გაე-ცანით ჩვენი გამგეობის წლიურ მოვაწეობას და

დარწმუნდებით, რომ ყველაფერი სიმართლე არ არის, რასაც ზოგიერთა უურნაალ გაზეთების პესი მისტი თანამშრომლები სწრენ

მიუხედავათ ამისა მე მაინც არ დიგისახელებ თქვენ ამ გამგეობის წევრთა სახელსა და გვარებს. ეს რომ ჩავიდონო შურით გავსკდები და რათ გინდათ მე რომ თქვენს წინაშე გავსკდე?

კვეთი.



ს. მელრს მუშათა ცხოვრებიდან, ანუ ფერითი ჯოჯოხეთიდან.

აბა ეშმაკა, გეთაყვა
მიგდე მცირე ხანს ყურია,
მოგითხრო ჯოჯოხეთისა
ამბები საამურია.

ირგვლივ ოთხ მხარეს გვარტყია
მთები ამაყნი ზღუდეთა,
რომელთ ფერდობზე კლდები
ქცეულან არწივთ ბუდეთა
და რომელთ თხემნი. სპეტაკნი
ცისა ლაჟვარდსა სწვდებიან
რომელთ ხან ფარავს ღრუბლები
და ხან კი გამოჩნდებიან.
კალთების მცირე ნაწილი
ნაძენარით შემოსილია...
მეტი კი კლდეა ხრიოკი
ტიტველი გაცრუეცილია.
შუაზედ, ხევის ფსკერშიდა
გაპეუხს მდინარე სწრაფია,
ქვებიდან ქვებზე ნახტომი
დამსხვრეულ ანაქაფია.
მდინარის პირას, გორაკზე
მარჯვივ სჩანს ციხე ძველია
შორე წასრულში ამ სოფლის
თავ შესაფარი მცველია.

მის ქვეშ მდებარებს სოფელი
ორმოციოდე სახლითა
ნაშენი ძველი პატრონის
და დანგრეული ახლითა.
ამ ნანგრევებში ბინადრობს
მუშები დიდი ძალია

ბინების სრულთავეზე
ხომ ლაპარაკიც მეტია:
შიგ სიბინძურე, ნაგავი
არნალით მოსახვეტია.
უიატაკო უსარკმლო,
ჩამონგრეული ჭერია,
(ვეჭვობ შიგ დგომას იყადრებს
ოთვეხს სულიერია.)
მუშებს ბრძანებლობს აქაურს
ალების ხროვა მთელია
(დღეს „პოლრაჩიკი“ გამხდარა
მეარლნე გუშინდელია.)
აწ მინდა მხოლოდ გაცნობო
იმათი მთელი რიცხვია
(თუმც მათი სახელ გვარებიც
ენის წვეროზე მიწყვია.)
როს მოვახდინე მე მათი
სტატისტიკური აღწერა
ორივ ხელების თითები
გადავითვალე ასჯერა.
ბინიდან სამუშევრამდის
მანძილი არის დიდია,
რომლის გავლის დროს გამვლე-
ლის

სიცოცხლე ბეწვზე ჰერიდია.
ორ საათს უნდა იარო
ალმართი ქშენა-ოხერითა
ზოგ ადგილს უნდა ახვიდე
მუხლისთავებზე ხოხვითა.
ხან ისეთ კლდეზე შეგვადება
ბილიკი გასავალია
რომ მის სიმაღლეს ზევიდან
ვერ ჩაუწედება თვალია.
თუ გასწყრა ღმერთი, გაგისხლტა
მუნ ფეხი უცაბედათა
„ბინძური“ გზისა სინათლეს
ველარ იხილავ მეტათა.

როს გასცილდები ამ საფრთხეს
 წინ გხვდე მასზე მეტია
 საღ ძრწოლა შიშით გაკლდება
 სიცოცხლის მესამედია.
 ნახავ რომ შენს წინ მისულნი
 უკვე მუშაობს სხვებია
 და მათი სამუშევრიდებან
 გორავს ვეება ქვებია.
 მათ ქვეშ კი გაჩერებულა
 მუშების მთელი ჯგუფია
 და ჩადგან ველარ გასულან
 აუტეხიათ ჩხუბია.
 ზევიღან გაიძახიან:
 „ჩქარა გადადით ყველაო,
 თორებ ამოგჭყლეტ ლოდებით
 ისთვ ვით ჭიანჭველაო“.
 ქვევიღან ისმის პასუხი:
 „დაგვაცათ ცოტა ხანიო
 ვერ ხედავთ ოჯახქორებო
 რომ არ გვაქვს გასაქანიო“.
 ამას მოყვება გრიება
 სიტყვები უწმაწურია...
 ამ დროს აქ, მუშას მუშისვე
 სისხლი სასმელათ სწყურია.
 სიბრალულ შეცოდებასა
 აქ არც კი არის ხსენება
 თავს მაშინ იხსნის, თუ მხოლოდ
 ძალგისს ცხენივით ჭენება.
 თუ ვერ გაიქცე გიდგება
 უკანასკნელი წამია
 სასაიქიო „პროპუსქე“
 არ დაგჭირდება ქრთამია.
 დაგეჯანება დიდი ქვა
 დაგიუთოვებს გვერდებასა
 და სიცოცხლისგან განამწარს
 სიკვდილთან შეგაერთებსა.
 ან და უეცრათ „ლალუმი“
 იფეთქებს საღმე ახლოსა
 და თუ გადარჩი, ციებაშ
 შენ ხელი ველარ გახლოსა.
 დასახიჩება, სიკვდილი
 აქ რომ იქნება ხშირია
 მას შენ თვითონვე მიხვდები
 რა განმარტება გვირია?
 (ყველა ეს შიში, ვაება

თვით მუშებისვე ბრალია,
 რადგან საერთო საჭმეზე
 არიან ძლიერ მწყრალია.
 მის ნაცვლად რომა გადაჭრით
 უაჩყონ მტრობა შურია,
 გაიცნონ ერთი მეორე,
 შეკრან კავშირი ძმურია,
 ერთმანეთს არსად ინდობენ
 უგებენ მტრულად მახესა
 თვითონ სწიხლავენ თვისსაფე
 მცველია და მოამგესა.)
 სამუშევარი ადგილიც
 ხომ ყოვლათ საძაგელია,
 ზედმეტ სიცხისგან თვით შიწუც
 ნალვერდალივით ცხელია.
 ხეს ვერსად ნახავ რომ ჰქონდეს
 სიმაღლე ოცი გოჯია
 სიცხეში უნდა შეიწევა
 ვით სააბალწლო გოჭია.
 მცენარეები ყოველგან
 გადახმარ გადამწვრია
 არ იშოვება ხუთ ვერსზე
 სასმელად წყლისა ცვარია.
 ქვეწარმავალნი: გველები —
 ხვლიკები, ღრიანკლებია
 ამ სააქაოს ჯოჯოხეთს
 არას დროს არა ჰკლებია.
 გმართებას სიფრთხილე: მცუ-
 რავბა

არ „გაგიკეთოს ნემსია“,
 თორებ ვერგიხსნის ველარცა
 ერლიხის ექვსას ექვსია.
 თუმცა დრო მუშაობისა
 რვა საათია წესადა,
 შენსა ჯოჯოხეთს მაინც ვრაც
 ამაზე უმჯობესადა.
 საღამოს ეამზე, როს მოვა
 ბინისკენ წასვლის რიგია,
 დილას რაც შიში იგემე
 კვლავ უნდა ნახო იგია.
 მიხვალ ბინაზე იქ გხვდება
 სხვა და სხვა გასართობია
 რომლის ცქერითაც დატებობას
 აღარაფერი სჯობია.
 ჯერ ჭიდაობა იწყება

სხვადასხვა ჯურა „სორტისა“, (მოგეხსენებათ ქართველნი მოყვარული ვართ სპორტისა.)
ამას მოყვება სიმღერა,
ან უფრო ხშირად ჩხებია,
სიღაც ავლაბრულ ტერმინებს
გაუდის სხაპა სხეუბია.
მერმე იწყება „ლეკური“
თამაში ეროვნულია,
რომელთანც თქვენი კლუბების
უველა „ტანცები“ ნულია.
მერმე ეთმობა აღგილი
„ლიტერატურულ ნაწილსა“
(ვინდა დაექცეს სხვა რამეს
ან მოსვენებას, ან ძილსა.)
გამოვლენ მოშაირენი
იწყებენ „ლექსთა კითხევასა“
დიდ ყურადღებით ისმენენ
იმათ თითეულ სიტყვისა.
გაისმის ლანდვა-გინება
რითმებათ აკინძეულია,
ორ გროშად აღარ ფასდება
დედის და მამის სულია.
კარტ კამათელით თავდება
„სალამო“ დიდებულია,
საერთო საქმე კი არის
კუნძულში მიგდებულია
ვის ახსოვს შიშის ქარები
ან საფრთხე წელანდელია
ან და აღების უღელი
შძიმე, სულ ამოშნდელია.
და რაც დრო ეამი ყოვნდება
გადან დღენი, თვენია
მით უფრო უარესდება
მდგომარეობა ჩვენია.

კვახი.

(დასასრული იქნება)



საუბარი ქაღლთან

ა. პ. ჩეხოვის.

ზამთრის ცივი და მთვარიანი ლამე იყო. ალექ-
სანდრე ივანეს-ძე რომასოვმა ფრთხილათ გააორ
კიშკარი და ეზოში შევიდა.

— ადამიანი,— ფილოსოფოსობდა იგი დან თან
ბარბაცით გვერდს უვლიდა სანავვე ორმოს,— არის
მრვერი, საფრთხეული, ფერფლი... პავლე ნიკოლო-
ზის-ძე— გუბერნატორია, მაგრამ ისიც კი ფერფლია.
მისი გარევნული დიდება— ოცნება, კვამლია...
შეუბერავ ერთს და... გაქრება!

— ღრრრ... — შემოესმა უეცრად ჩვენს ფილო-
სოფოსს.

რომასოვმა უნებლიერ განზე გაიხედა და ორი
ნაბიჯის სიშორეზე დაინახა უზარ-მაზარი შავი ძალ-
ი, რომელიც იჯდა საყარაულოსთან და ჯაჭვ
აუღარუნებდა. რომასოვმა შეხედა ძალის, ჩიფიქ-
და და მის სახეზე გაკვირვება აღიბეჭდა. შემდე
მხრები ასწია, თავი გააქან-გამოაქანა და ნალვლი-
ნად გაიღიმა.

— ღრრრ... გაიცემორა ძალომა.

— არ შესმის,— წარმოსთქვა რომასოვმა დ
ხელები გადაშალა,— შენ... შენ ბედავ დაუდრინ
ადამიანს? ა? პირველათ შესმის ჩემს სიცოცხლეში...
ღმერთს გეფიცები... ნუ თუ შენ არ იყი, რო
ადამიანი ბუნების გვირგვინია? აჲ, შემომხედე...
მოიცა დაგიახლოვდე, იმ ებლა მიცქირე... მე ხმ
ადამიანი ვარ? ჲა, როგორ ფიქრობ? ადამიანი ვა
შე თუ არა? ამისენი!

— ღრრრ... ჲამ!

— მოიტა თათი! — და რომასოვმა ძალის ს
ლი გაუწოდა,— თათი! რა, არ მაძლევთ? არ გრ
ბავთ? არც საჭიროა. ასე იყოს. ახლა კი ნება შ
ბოძეთ ერთი ტუჩზე გითავაზოთ... არა შე სასიყ
რულოთ.

— ჲამ, ჲამ, ღრრრ... ჲამ! ჲამ!!

— ააა... შენ კბენასაც აპირებ? ძალინ!
გი, კეთილი. ამას დავიმახსოვრებთ. მაშ შენ ფე
ზედაც არა გგკიდია, რომ ადამიანი ბუნების გვ
ვინია... რომ ის მეფეა ცხოველთა? მაშ აქ
ისიც, გამოდის, რომ შენ ჲავლე ნიკოლოზის
საც გაუბედავ კბენა? ხომ? ჲავლე ნიკოლოზის
წინაშე უველა პირქვე ეცემა... და შენთვის
რა ის და რა სხვა საგანი,— სულ ერთია ა

ხომ კარგათ გავიგე მე შენი გულის პასუხი? ააა . მაშ შენ სოციალისტი ხარ? მოიცა, შენ ეს მითხარი... შენ სოციალისტი ხარ?

— ლრრრ... ჰამ! ჰამ!

— მოიცა, ნუ იყბინები... ხო რაზე ვლაპარაკოდი? ახ, მართლა, ფერფლის შესახებ... შეუბერავდა — გაქრება ფუ! და მერე რისთვის ვცხოვრობთ, საყითხავა? ვიბადებით დედის ავათმყოფობაში და გაჭირებაში, ვჭრთ, ვსამთ, ესწავლობთ, ვკვდებით... და მერე რისთვის ყველა ეს? ფერფლის არაფრათ არ ღირს ადამიანი! აი შენ ძალი ხარ და არაფრი გეშის, მაგრამ რომ შეგეძლოს. სულში ჩაძრომა რომ შეგეძლოს ფინხოლოგიაში ჩაწვდომა.

რომასოვმა აქ მოაბრუნა თავი და გადააფუთხა.

— წუმპეა... შენ იქნებ გვინია რომ მე რომასოვი ვარ კოლეგიის მდივანი, მეექვსე კლასის მოხელე... ბუნებრი შეფე... სცდები! მე მუქთა ხორა ვარ, მექრთამე, ცაიერი!.. მე ქვემძრომი ვარ!

აქ ალექსანდრ, ივანეს ძემ გულში მუშტი ჩაირტყა და ატირდა.

— დამსმენი, სიტყვის მიმტანი... შენ როგორ ფიქრობ, განა იაგორ კორნიუშენინი ჩემი მიზეზით არ გააგდეს? აზ... ახლა ნება მიბოძეთ დაგვკითხოთ ვინ ასწავნა საკომიტეტო ორასი მანეთი და ვინ გადაბრალა სურგუჩევს? განა ყველა ეს მე არ ჩაიღინე?

ქვემძრომი, ფარისეველი... იუდა! ფლიდი, მექრთამე, არამზადა!

რომასოვმა სახელოთი ამოიშმინდა ცრემლები და აქვითინდა.

— ჲა, დამპინე! შემჭამე! არავის ჩემთვის დაბადებილან ერთი კარგი სიტყვა არ უთქვამს... სულყველა, ფლიდათ მთვლის, პირში კი ქებით და ღიმილით მეგებება! აბა ერთი ვინმეს როდისმე ცხვირ-პირში ჩაეცხო ჩემთვის ლაზათიანად და ვეგინებიყ! შემჭამე მურა! დამპინე! დამგლიჯე წყე-ული და შეგვენებული! დამგლიჯე გამცემლი!

რომასოვი შეტორტმანდა და პირდაპირ ძალზე დაეცა:

— ასე, სწორედ ასე! დამიგლიჯე სახე ცხვირ-პირი არ ვნაიღლობ! თუმცა მტკიცა, მაგრამ მაინც ნუ შემიბრალებ. ჲა ხელებიც დამიკინე! ოჰო! სისლი წამოვიდა ასე გინდა არამზადა! მაშ, გმად-

ლობ მურია... თუ რა გქვია! გმადლობ... ჲა ქურ-ქიც დაგლიჯე. ეს სულ ქრთამია... გაყიდე მოყვა-სი და აღებულ ფულში ქურქი ვიყიდე... აპა კა-კარდიანი ქუდიც... მაგრამ ჲო რაზე ვლაპარაკობ-ლი?.. ღრრო წასელისა... ნახვამდის ნახვამდის...

— ლრრრ...

რომასოვი მიეალერსა ძაღლს. ერთხელ კიდევ აქბენია თავის ღია გაეხვია ქურქში და ბარბაციო წაბენცელდა სახლისკენ.

მეორე დღეს რომასოვს გვიან გამოელვაძა და რაღაც არაჩეცულობრივობა იგრძნო. თავი, ხელები და ფეხები სულ შეხვეული ჰქონდა. ხოლო მისი საწოლის ახლო იდგა ცოლი ნამტირალევი თვალებით და მასთან ექიმი თავის შზრუნველი სახით.

და. პოდბიპერტა.


ჰ ე რ თ ი ს ე რ დ ე ბ ა

ერთობ მცირე ქალაქია
ფაზისის პირს განაშენი...
არც იზრდება და არც კვდება...
(მათუსალის სკირსო სენი.)
სამი ნიშნით იწერება,
ჩენ არ გვინდა მხოლოდ წინა,
მას რიობში გავუძახოთ,
რომ შავ-ზღვაში ექნეს ბინა.

და შევიდეთ იქვე ტყეში,
ჩას იქ ძებნა აღარ უნდა:
ზოგი ცამდე ატყორცნილა,
ზოგს ასხია წერილი გუნდა;
წავაჭუიოთ რომელიმე
და გავხერხოთ შვაზე სწორათ,
წინა მხარე წამოვილოთ,
ბოლო იქვე ეგდოს გორათ.

შარადა რომ დაგვირგვინდეს
როგორც წესია და რიგი,
ჩვენ ცხოველი დაგვეირდება
(დიდი ყური რო აქვს, იგი),
ჩვენს კუროხეულ სამშობლოში
უზომო აქვს მას ბაზარი...
თვალს საითაც კი მოავლებ,
წინ დაგჭვდება მთელი ჯარი.

მარწულობა




ო. შლინგი -

კვირაში 4 დღე მარხვა... ეგ საშინელებაა! ყველა ბოსტნეულს მიაშურებს და შეიძლება ისიც გამოილოს... ოთხი დღის მარხულობის შემდეგ ყველა ხორცს მოინდომებს, საყასბოების წინ გაიჭიმება უზარმაზარი „კუდი“, შეიძლება ხორციც აღარ ეყოს... დიდ-მარხვასთან შედარებით ეს „უდიდესი მარხვი“ იქნება... ეს საბოლოოთ ჩამოგახმობს კაცს...

ისიც შეაზე გაიჭრება,
ასე ითხოვს საქმის წესი;
შარადისთვის, რა თქმა უნდა,
გორეა უკეთესი.

შევაერთეთ და მივიღეთ
ყოვლათ უშნო სიტყვა მცირე...
თფილისელმა კარგათ იცის
დღეს იმისი სიღუჩქირე.

„მამათაგან“ შეთხზულია
სასაცილო ეს ქმნილება;
სინამდვილე მის ღირსებას
სამის ადლით ეცილება.
სულყველაფერს ზურგზე აზის,
თუმცა არვინ არათ აგდებს,
(თუ სახეში არ მივიღებთ
დამპალსა და გადასაგდებს!)
კოდო.



...ჩნდება ბნელეთით ალ-ფრანგელი, საზღაპრო ფასკუნჯი, მაჰმადენ ჩემსკენ, — და აპა, ერთს ნეტარ თვალწამში თავს და-მეფრქვა კიდეც... (სახ. ფურუ. № 644).
გრიგოლ რობაქიძე.

სიგვონის ნატეხი

ლ. ხტალინსკის ახლულს.

უმთვარო დაბის ტანგიშერა ლანდი უძრავად გადასწოლია სუნთქვა-შეკრულს არეს და მის მოლურჯო ფრთხების ქვეშ შემერთალ თვალთა წინ იშლებინ ნაირ-ნაირნი და ნარნარნი ხაზტეხილნი მსოფლიო ზმანების. შავი ულრანი ტყე საზღაპრო მო-

ჩვენებად გადაზნექილა და სთვლეშს ნელა ნებამილე-ული... შავი ვარსკვლავის აღმასა ციალი აღარ ჰქი-აფობს ცის ლურჯა ფსკერზე:*) ისიც მოთენთილა და დაუსუპავს თვალი თვალის მომცრელი...

ბნელა, ბნელა, ბნელა... მაგრამ ეს რა არის? სადღაუ შორს, საცა ტყის ლურჯა ქედი ხალისით ამართულა, ხე იწვის ღიღი... მისი ღაღღად მოქნილი ტოტები იშლებიან ნელონელ ალის ფერად და მათი მარჯვე შერხევა ჰკეთავს, აპობს მრისხანედ უკუნეთის ბნელ ფარდებს... აპა, ხის თავზე აგიზ-გიზებული კოცონი მოსწყდა ტყის კოტტა ქოჩორს, შეარხია ალის მოსახსამად გაშლილი ფრთხები, ერთი შეფრთქიალდა მტერზე გამარჯვებული და იქ მაღლა, შორს, შორს, შორს, შეპკრა მარდი შოქნეეით ცეც-ხლოვანი კამარა... .

ბუნება აიშალა თვლეშმორეული.—

მაგრამ წამსვე ხის ამწვარი კოცონი, საზღაპ-რო ალ-ფრანგელი, სიზმარეთის ფასკუნჯი, ერთი მოსხლეტით სადღაუ შთანთქა...

და დამძიმდა ისევ სუნთქვა ბუნების... აიშალა შათვალა ღამე... გაპერა სიცხადე, მაგრამ არც ზმა-ნებაა სხიოსანი... ისმის მხოლოდ ნელი შიშინი, უფსკრული მწვანე ალით ალურჯებული... ირგვლივ ლანდები თარეშობენ... თვალებს სქელი ნისლი ეფი-ნება... გაპერა—, შენ“, გაპერა „,მე“: აღარ არის სახეობა... ლანდები, მხოლოდ ლანდები, ლამაზ-ლამაზ მასკა-აფარებულნი...

და აი ამ წამს,—როცა ვგრძნობ, რომ თვი-თონ ჩემი „მეც“ უსახელო ლანდია მხოლოდ, ჩდება ბნელეთით ალ-ფრანგელი, ხაზღაპრო ფასკუნჯი, მაჰმადენ ჩემსკენ, — და აპა, ერთს ნეტარ თვალწამში, თავს დამეტყრება კიდეც... ალის ფერი მომახვია სამოსე-ლად, მაგრად მიმიკრა აგარებარებულს მკერდს, უე-ირხა ძლევამოსილებით და ამიტაცა მაღლა, მაღ-ლა მაღლა...

ფაქიზი კურპელი ჩემი ივსება ნელი-ნელ ზე-არის ნაკადულით, — და ვით თავდავიშებული მეტადა,**) ვნატრობ ნებამილეული — არ შესწყდეს ერთი წუთითაც იგი აესება სანეტარო... მაგრამ

*) ცხადია სცდება ხალხური თქმულება, როცა ამბობს: „ლურჯა ცხენი შეუკაზმეს თამარ ქალსა დიელო“, — ღი-ნაირა „,ლურჯა“, ყაფილა ცა და ქედი.

**) „სახალხო ფურცელში“, მყის აღინიშნა ეგ შეცომა. აქ უნდა ეწეროს სიტყვა „,მენადა“, და არა „,მეწადა“. მაგ-რამ დაუდევრობა მაინც დასჩემებია აღინიშნულ ორგანოს.

სული, სადღაც უძირო კუთხეში, სცნობს, რომ
ოდნავ გაიძჩარა ტან-ნარნარი სურა, — ვერ აიტანა
უთუოდ დავთიური აქსილობა, — და აპა, ვით სავნე-
ბოდ ატეხილი იგივე შეწალა, ვილტეა დიონისესა-
კენ, ვისწავე მათრობელ ღმერთან, სამსხვერ-
პლოდ განმზადილი...

მიყვრინავ ფიცხელ ფრინველთან ერთად, ჩემს
მარჯვენაზე ვიხვევ მისი აღის ფრთხების სალტეს და
მისი ჭითელი ენით ესპრი ჩემს გულში აღთქმის
ფურარსა, — რომ უფრო—უფრო სპეციაცი და გან-
წმენდილი შეეხვდე სიკედილ-სიცოცხლის ღმერთს...

მიჰელენს ქრინველი და მეც თან მივყვები...

ფრინველი მისნის მკერლს,—მეც მას ვეხვევი
ჭირებელი...

ფრინველი ფრთხებით გასხურებს უკვდავებას, —
მეტ მის ნაკადზელს ვეწაოთ მოწყობილო...»


თრინდელი თრთქმიალით შრიალს მახვილს სმენა-

မაတრობელს, — მეც ვთვრები მით აჭაცებული...
ფრინველი იწვის, — მეც თან ვიწვი...
ფრინველი იფერფულება, — მეც თან ვიფერ-
ღლები...

და აპა, დამწევარნი სრულიად, მოცსტყდით კის
სივრცეს მე და ფრინველი და საშინელი მოხსელე-
ტით ფოლადათ გამდნარ მდინარეს დავყცით თავს...
გაისმა ტკრციალი, — და ტანი მდინარისა ატორ-
ტმანდა უძირო სევდით, შეირჩა, აფართქალდა, შე-
იკუმშა, — და ისევ დადნა, დაიღვარი ხასხასა ტალ-
ლებად...

და იქ, საცა ჩემი და ფრინველის თანშეზრდი-
ლი სხეული დაეცა სრულიად დაფერფლილი, იქ
წამსვე ასხლტა ცეცხლის ყვავილი... აღის ყლორ-
ტები ფრთხებად აისხა, შეირჩა, მოსწყდა მდინარეს,
აფრთქიალდა და გაჟურინდა სადღაც შორს, შორს,
მაღლა, მაღლა... და წარიტაცა თან სამარადო ზღა-
პარი სამარადო სიკუპელისა...

გრიგოლ რობაქიძე.



ମେଗିଟାକ୍ସର୍ବେଲତା ଆଶଙ୍କାବାଟ ଶ୍ଵେତପୁରୀମାୟ କୁଶିଳାଦ ଶ୍ଵେତପୁରୀମାୟ ଓ ଟୀଏ୧୫ ନିର୍ମାଣ ନାମରୀଟା ନାମରୀଟା, ଖର୍ମେଲିଶୀର୍ବାହି ଯୁଗ ମନ୍ଦିରରେ ଦୁଲ୍ଲାଖ ଏବଂ ସାମ୍ବନ୍ଧିତ ଫୁଲିଲି, ନାହିଁବିନ୍ଦୁରୀଙ୍କୁ ୬୪୬ ନିର୍ମାଣ କରିଛନ୍ତି।

କାର୍ତ୍ତିକା ଓଲିଏଟର୍ନୋ

۷۸۳۰۰۱۶۳۵

(ଲୋକପାତ୍ର ପରିଚୟ)

ძმათ ეშმაკი! მსურს გაუწყო ჩემი დარღვევი, ჩემი სულისა აღმფოთება, გულის ტრიალი, რომ შეგებრალოს ჩემი ყოფის ამაოება, რომ შენც აგვესოს მოთმინების ქვაბი ტიალი... თუმც ეშმაკი ხარ, ჯოჯოსხეთის ბინათ მყოფელი, დიდათ მომთმენი, სულ-გრძელი და დარბაისელი; მანც გულს გატკენს ჩემი ჭმუნვა ეგ სევდიანი, შენც შეზარდება, ჩემი წილი წუთი-სოფელი!..

მოგეხსენება, ომის გამო მეტათ შეეზარდთ,
სუყველაფერი გაგვიძვირდა ერთი ასათა; ჯერ ია-
ფობის დროს, ხომ იცი, ბევრს არას ვპამდით,—
ახლა ჩვენს კბილებს არრა ვკერის გასაქნასათა ვე-
ლარ ვშოულობთ: ვერც ჟურს, ვერც ხორცს, ვერ-
ცა პამიდობს, სულ ყველა გაქრა, ბაზრის პირზე
თვალს ვერსად მოპკრავთ; შეჩერებულნი, ის ვაჭ-
რები მაღვენ სადღაც შორს, მომხმარებელინი—კი
ცოლ-შვილსა შიმშილითა ვკლავთ!.. არ იშოვება
არც ზაქარი, არც ქართვილი, დადიხარ კაცი ბა-
ზარ-ბაზარ გულ-ჩათხრობილი; თუ რომ არა გყავთ
გულ-კეთილი, ვინმე შმობილი,—სულს ამოგაძრობს,
და გაგვალავს თმენა, შმშილი!.. როგორ ვიცხოვ-
როთ, გაგვიძვირდა ძალზე საპონი, არ იშოვება
აღარც თაფლი, აღარც სანთელი; არც კარაქა,
არც ძროხისა უბრალო ქონი, პირველათა ვარ ამ
კრიზისი! მომსწრე—მნახველი! ჩვენი „მატები“
ლვთის წინაშე, ამაზე ბერძენ, ზოგი მათგანი საქ-
მითაც-კი მოღვაწეობენ, მაგრამ რას ვხედავთ? სი-
ნამდევილ სულ სხვას გვიჩვენებს — იმათი ნიხრი,
მარტო ლდენ თვალსა გვიმშვენებს. ვაჭრების „ოხტ-
ში“ ჯერ ჯერობით არინ მოსულა, „პილრომმა“
ოლნავ შეაფიქრა შეავალა... და დანაკარგის აღსა-
დგენათ, პატივულებულებს, ძველზედაც მეტი გაულ-
გიძა წალლეტის მადა...

მოდუნდა კუჭი, ველარიაფერს ვეღარ ინელებს, რაც-კი გავკნახა — ყველაფერმა დამაზიანა, რა ენაღლებათ, ასაღებენ უვარებისს, ძევლებს, — მიაქვთ დამპალი, უსუფთაო, ზოგიც ჭანან! ვიღა ვითხულობს მათ სიახლეს, საღ სანოვაგეს, თუ კი ღმერთმა ქნა და რაც უნდა, იგი იშვა; მხოლოდ მიასწოოს, „ოჩერელში“ როგორმე ჩადგეს, სადაც

მულმიერათ სდგას ურიცხვი ხალხისა გროვა·
სადაც ხშირია ჯახი, შფოთი, მუჯლუგუნები, გი-
ნება, ლანძლვა, ვაი-ვიში, და სხვა შემკობა; ზოგ-
ჯერ ზურგზედა მძლავრი მუშტის ნაბრაგუნები,—
დალურჯებული, დაბეჭილი ლაქა მიგყობა!..

და ასე, ვწვალობ, ვიტანჯები, რომ ეშმაკო!
აღარ ეძლევა ამ ცუდ ყოფას აწ დასასრული;
ბევრი მაქვს კიდევ მე სათქმელი, სალაპარაკო, მაგ-
რამ არ ძალ-მის, რომ ამ უამაღ დავუდო გული!
დანარჩენს—სხვა დროს მოგახსენებ, ეხლა კი მთ-
ხარ, ჩემს შეკითხვაზე გადაჭრილათ მიპასხევი: შენ
როგორ გრძნობ თავს, როგორა ხარ ამ სიძირეში, —
საქმიოთ შოგობ სანოვაგეს თუ შენც იმშევი?! გარ-
და ამისა, რა ვიღონო, აბა რას მირჩევ, რით გა-
მოვკებო თავი დღეს, ხეალ, ან ამ კვირეში? შე
ჯამაგირათ ძლიერ ცოტას, მინიმუმს ვიღებ, მომ-
წყვდებული ვარ ომის გამო ამ საკირეში!..

ალბურიონი.



მესტვირული

(საზოგადოისათვის).

აბა რა გითხრათ, რით განუგეშოთ?
მხიარულების წარვიდა ხანა,
ცრემლით მოიჩრდი არე-მიღამო,
სევდამ მოიცო მთელი ქვეყანა.

მტერს შემოსეულს გაუმტლავდებით,
მაგრამ დამხვდურიც დახე, მტერია,
რომ ლუქმა გავხდეთ გაუმაძლართა
ნუ თუ განგებას დაუწერია?

ფარისეველნი აპა, სტირიან.
თუმცა არ გვჯერა მათი ცრემლისა,
მაშერალთა ბედი განა აწუხებთ
როცა თან დაქვთ უძირო ქისა?

აპა, ის ხალხი, ვისაც მარადის
პირს აკერია, ქართველი ერი.
ჯიბესა ივსებს მათი ნაშრომით,
როცა ერია მწყურვალ მშერი.

აბა რა გითხრათ, რით განუგეშოთ
დროება ხედავთ არეულია.
სიბნელემ დროშია ააფრიალა,
მტერთა ზეიმი, სიხარულია.

იგი ვინც გუშინ, იუდასებურ
ხალხისა ორგულთ ევაჭრებოდა
აი, იქნახე გრძოს მიუძლოდა,
გრძოს უგნურებით იგი სტებოდა
გაშერალთა ხელით ქმნილი სიმღიდე
რკინით და ცეცხლით ნადგურდებოდა
და ის იქ იდგა დამშვიდებული,
მხოლოდ ნელ ნელა იღიმებოდა.

აბა რა გითხრათ, რით განუგეშოთ
მხიარულების წარვიდა ხანა,
ბნელმა მოიცო არე მიდამო,
და მუქთა-ხორებს რჩება ქვეყანა.

ალი.

მოგზაურობა

ისე მოსწყურდა იოსებს კეკეს ნახვა, რომ გა-
დაირია კაცი დღე და ლამ მასზე ოცნებობდა და
ბოლოს გადასწყიფა მასთან წასელი. სასხვავური უშ-
ლიდა, მაგრამ კვირა დღეს იმედი ჰქონდა თავი და-
ეღწია. დალოცვილია რკინის გზა თავის სისწრაფით.
რკინის გზის მთავრობა კი, როგორც მოხელეს —
უფასოთ აწედის ბილეთებს გასასეირნებლათ. სოფელ
კაკლისქედამდე, სადაც იოსებს კეკე ეგულებოდა,
ასი ვერსი იყო. ჩაჯდები და უკვე იქა ხარ. ამ ნე-
ტარების მოლოდინში იოსები სიხარულით ფეხზე
აღარ იდგა.

კანტორაში, სადაც იოსები მსახურობდა, მო-
ხელებს თითქმის ორ კეირაში ერთხელ ეძლეოდა
ეგრეთ წოდებული „სანოვაგის ბარათები“ რითაც;
ნება ჰქონდათ, ბარათზე აღნაშნულ სადგურიდან
ქალაქმდე, ჩამოეტანათ რამოდენიმე ფუთი სანოვა-
გე. ბარათი ეძლეოდათ ორასი ვერსის მანძილზე,
ქალაქიდან საჩიტიამდის.

კაკლისქედიც ამ გზაზე!

იოსებმა დაწერა თხოვნა უფროსის მიმართ;
დაწვრილებით აღნიშნა, თუ რა გაჭირვებით შეიძ-
ლება სანოვაგის შეძენა ქალაქში, რა იაფობაა სა-
ჩიტიაში და სთხოვა სასანოვაგო ბარათი.

შაბათ დილით იოსებს მოახსენეს:

— იოსებ ანდრეიჩ, უფროსი გეძახით.

იოსებს გააცივა .. მისთანა პატარა კაცუნებს იშვიათად თუ შეხვდება განკუთვილიბის უფროსის ნახვა!.. ნებაც არა ქვეთ მისთან შესვლისა... იოსებს ვერ გაეგო — რა საქმე ჰქონდა მასთან უფროსს... კრძალვით შეაღო კაბინეთის კარი და შევიდა. უზარ-მაზარ, მშვინიერათ მოწყობილ ოთაში მაგიდას სქელი, ხანში შესული უფროსი ეჯდა.

— თქვენი გვარი სასანიძეა არა?

— ღიას, ბატონო.

— თქვინ საჩიტაში გინდათ წასვლა სანოვა-გისათვის.

— ღიას, ბატონო. (აბა იმას ხომ არ ეტყოდა, მარტო კაკლისქედმდინ მივალ, კეკეს სანახავადო.)

— ჩინებულია. სისანოვაგე ბარათს მოგცემთ, მხოლოთ, ჩემთვისაც იყიდეთ ცოტა რამ. აი, საში თუმანი... ფასზე ნუ შეჩერდებით, რაც გინდ ძირი იყოს იყიდეთ: განსაკუთრებით მჭირდება კვერცხები, ქათმები, კიტრი, ნედლი ლობით. რუშისათვის და ეტლისათვისაც გეყოფა ეგ ფული.

უფროსმა გაუწოდა საში თითო თუმნიანი. ტან-ში გააქრეოთალა იოსებს იმის წარმოდგენაზე, თუ რა გაჭირება მოელოდა მას საჩიტაში!..

ღამის 11 საათზე მივიდა იოსები სადგურზე კალათებით და ტილოს პარკებით დატვირთული. სიჩიარში იოსებს სულ ქათმები, კვერცხები, ახალი ლობით, კიტრები და სხვა სანოვაგე ელანდებოდა. კვირა დილას იოსები გაღმოხტა საჩიტაში და გა-ემზადრა ბაზრისაკენ. ბაზარში ყველაფერი ბლომათ დახვდა. ისე წარმოიდგინეთ — ქათმებიც და კვერ-ცხებიც. იოსებს გულმა ფანცელი დაუწყო!.. რამ-დენი ხანია მას ქალაქში თვალით არ ენახა კვერ-ცხები...

— როგორ ჰყიდი, ქალო, კვერცხს?

— თერთმეტი — რაი აბაზი და ოთხი კაპეიკი.

ძნელი ასახსნელია, თუ რათ უყავრო სოფლე-ლებს ასეთი ანგარიშით სანოვაგის გაყიდვა!

— ეს იგი თითო ოთხი კაპეიკი?

— არა, ბატონო, თერთმეტი — რაი აბაზი და ოთხი კაპეიკი.

— მოიტა, მოიტა, რამდენი გაქვს, ასი, რა-სი... ოთხასი მოიტა. იოსებმა ამოიღო ტომრიდან დიდი, ჩალის კალათა და დასდგა მიწაზე. ოთხასი

კვერცხი მთლიად ჩაეტია კალათაში, ზევიდან ორ-მოცამდე კიტრისათვისაც დარჩია ადგილი.

როდესაც იოსებმა ასწია კალათა, რათა სად-გურზე გაეტანა კვერცხები, ათეულმა კვერცხმა იქვე განუტევა სული და მათი ყვითელი ცრემლი წურ-წურით ჩამოლიოდა კალათას. სადგურზე მიტანმდე ოცდა თით კვერცხი გამოესალმა წუთი სოფელს!.. სადგურიდან დაბრუნებული იოსები გაფაციცხით დარბოდა ბაზარში და იძენდა სანოვაგეს.

ის ჩინებული მოგაჭრე გამოდეგა.

— ქალო, ქალო, ქათამი როგორ?

— რაი მანათი, ბატონო.

— ავ! რაი მანეთი? რაი მანეთი... რას ამბობ, ქალაქში ხომ მაგაზე პატარა ქათამი საში მა-ნეთი ფასობს და არც იშოგება?

— არა, ბატონო, რაი მანათი ისთე დავაფა-სე; აი ეგი ქათამი საში მანათი ლირს!

— მოიტა, მოიტა!

მოზრიდილი დედალი კრიახით მოთავსდა ფქვი-ლის ტომარაში აღრევე ნაყიდ ნახევარ-ფურ ნედლ ლობიოს გვერდით.

ამგარივე ეშმაკობით გამოსტყუა იოსებმა მო-ვაჭრე დედაკაცს შვილიოდე ქათამი და ხელი ხილ-სა და მწვანილეულებას მიჰყო. ტომარაში ქათმებს დიდი ალიაქოთი აუტყდათ. იოსებს ვერ აეხსნა თუ რა იყო მიზეზი მათი კრიახისა!.. ენანებოდათ შე-ჩევეულ მიწა-წყალთან განშორება, თუ კრიახი მათი სიხარულის გამომხატველი იყო. მან იყიდა ათი გირვანქა სიმინდი და ტომარაში ჩაუყარა ქათმებს.

— ეს ტიალი, რა ძალზე დამძიმდა ტომარა. ქათმები სხვა რამეში უნდა მოგათავსო თორემ ცუ-დათაა საქმე

— რა ღიას, მეგობარო ეს კალათა? შეეკითხა იოსები მეღუწეს და მიუთითა პატარა კალათაზე.

— რაი მანათი!

— მოიტა.

თუ როგორ მოათავსა იოსებმა ამ კალათაში რაც მოზრიდილი ქათამი ამ საიდუმლოებას იგი არ ამხელს.

მალე ტომარაში ჩალაგდა ორასი კიტრი, ათი გირვანქა ჭყინტლი ყველი, ერთ ფუთამდე ჭლიავი. მეორე ტომარა გაივსო „პამიღორით“ და ქართოფილით...

მატარებლის მოსვლის დროც მოახლოვდა და იოსები სადგურისაკენ გამოეშურა. მისვლისთანავე

დაინახა, რომ კალათის გარშემო ორ არშინზე იატაკი ყვითლად იყო შეღებილი. იოსების განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა! — რა სათუთი რამ ყოფილი ეს კვერცხები! ფიქრობდა იყი და ახალი ქადალდის ათშაურიანი ძლიერაც არ დანანებია იატაკის გასაშენდად მიცემული.

მატარებელი მოვიდა...

მიუხედავად იმისა, რომ იოსებს ქუდსე უშველებელი თეთრი რკინის გზის ნიშანი ეკრა, უკანა ვაგონში ქათმებით ხელში არ შეუშვეს. გამოეშურა მატარებლის თავისაკენ. მისი სირბილის კვალი ებლაც კი ნათლად აჩჩენებია საჩიტის ბაქანის ას-ფალტს. ორი ზოლი მიიკლაკნება მთელი ბაქანის სიგრძეზე: ერთია კვერცხის ყვითელი გულისა მეორეც პამიღორის წითელი წვერისა.

საჩქაროდ აირბინა ვაგონის კიბეები, რამდენათაც კი შეუძლიან საჩქარე ოთხი ფუთი სანოვა-გით დატვირთულ სუსტ აღმიანს.

— ხალხნო, მიშველეთ, თქვენი ჭირიშეთ. დავალივ საღმე ჩემი ბარგი და ჩემთვის აღგილს არ დავეძებ.

„პამიღორით“ და კარტოფილით სავსე ტომარა კუთხეში მოთავსდა. მასზე მალე ჩამოსკუპდა ვიღაც ბერიკაცი. ქათმები სკამის ქვეშ, სიცხვი და სიბნელეში მიბრძანდენ. სხვა სანოვაგით სავსე ტომარაზე თვით იოსები ჩამოჯდა და კვერცხით სავსე კალათა ფეხებს შეა ჩაიდგა...

დაიძრა მატარებელი და დაიწყო მეორე მოქმედება იოსების ტრალედიისა. ახლა კი ნათლათ დაინახა იოსებმა, თუ რა გავლენა აქვს მატარებელის საჩქარო დაძრას და შეჩერებას კვერცხებზე! მან გამოიანგარიშა: თუ შემდეგშიაც მატარებლის თითო დაძრაზე და შეჩერებაზე სამ-სამი კვერცხი დაიმსხრა, იმედია ქალაქს ასილი კვერცხი ჩამოყავბა, რადგან ქალაქამდე ოცდა-ცამეტი სალგური მაქვს გასცელელი.

საში სადგურის გავლის შემდეგ მატარებელს უკიდან მეორე ორთქლ-მავალი მოაძეს. თითო მის უკიდან დატაკებაზე კი ხუთი კვერცხი სქდებოდა! დალამდა კიდეც...

ნახევარი ვაგონის იატაკი მოირწყო წითელი და ყვითელი წვერით. იოსებმა ნათლად დაინახა, რომ მეტი ცდა იღარ შეიძლებოდა... მან კალათი და სახსოვრად ერთი მთელი კვერცხი ამოიღო,

ხელსახოცში კარგათ შეახვია და პიჯაკის უბეში ჩაიდო. კალათი კი გააპარა და სიპნელეში გადის. როლა ვაგონის ფანჯრიდან...

შემდეგ ესტუმრა იგი „პამიღორის“ ტომარას და დაინახა, რომ მძინარე ბერიკაცის სიმძიმით ტომარაში მირტო-ღა პამიღორის ჩენჩი ღარჩენილიყო, წვენი კი მთელს ვაგონს ტოსდებოდა. კეოლი ბერიკაცის დახმარებით იოსებმა ეს ტომარაც მოხერხებულათ გადაისროლა სიბნელეში. ბოლოს წამიავლო ქათმებიან კალათას ხელი და ვაგონიდან გადმოვიდა, რადგან მატარებელი სალგურზე იდგა.

— ოპ, ღმერთო, პატარა სულა ამოეთქვე. სჯობია მოვშორდე ამ ტიალ ვაგონს, თორე კი დღეს არ დამაყრიან.

საჩქაროთ აიღო ქალაქამდე პირველი კლასის ბილეთი, ქუდსე რკინის გზის ნიშანი მოიძრო და შევიდა ვაგონში.


— აქ კი თავისუფლება! ეხ, ხე, ხე! რიგიანად დავისვენებ ქალაქში ჩასვლამდე.. ღმერთო ეს რა დამარნინათ ქათმებს? — იოსებმა საზარელი სურათი დაინახა, როდესაც კალათზე მოხერხებულათ გადაფარებული გაზეთი ახადა: შეიდი ქათამი, ჩუმად უფაი-ვაგლახოთ გამოსალმებოდა წუთისოფელს და მათი გრძელი კისრები კალათის ნაპირებზე კონჭიალობდენ. საგონებელში ჩავარდა საბრალო იოსები. ხუმრობა ხომ არ არის მატარებლით გარდა-ცავლებულთა გვამების კონტრაბანდათ წაღება? მერვე ქათმება ამასობაში ნაღვლიანი თვალებით გადმოხედა იოსებს, ჩუმად დაიკავანა, მინაბა თვალები, ჩამოჰკიდა კალათის ნაპირზე კისერი და შეუერთდა თანამემამულეთა გუნდს. იოსებმა ქათმებს თავები გაუსწორა, კალათას გაზეთი დააფარა ცოტა არ იყოს „ინტელიგენტური“ სახე მისცა.

„გაპირვება მიჩვენებ და გაქცევას გიჩვევებო“ ნათქვამია. მეორე დღეს იოსებმა, ქალაქში დიდის ვაივაგლახით, მომასისხლათ ნაყიდი სამასი კვერცხი რასი ცალი კიტრი და ნახევარი ფუთი ახალი ნედლი ლობით აჲკიდა ზურგზე მუშას და გაუგზავნა უფროსს. თან გაატანა საჩიტაში სანოვაგის ფასების ვარაულით შედგენილი ანგარიში და სამი თუმნიდან მონარჩენი ფული.

იოსებს რომ ბინაზე ესტუმროთ, მის საწერ მაგიდაზე ახლაც ნახავთ ოქროთ მოვარაყებულ შუშის კოლოფში მდებარე ქათმის კვერცხს. კვერცხზე ნიშანია — 157 მ. 52 კ. ეგ ის კვერცხი გახ-

ლაფთ, რომელიც ერთი ერთი უვნებლათ ჩამოიტანა საჩიტიდან ისესებმა, ნიშანი კი გამოჰხატავს იმ ფულის რაოდენობას, რომელიც საჩიტიაში მოგზაურობას და შემდეგ ექიმებში იქმნა დახარჯული, რადგან ამ თავგადასავალის შემდეგ ისესებს ერთი კვირის განმავლობაში ძალზე აციებდა და აცემდებდა.

გუგული.



ԵՐԵՌ ԱԶՅՈՅ

Թ Ա Տ Վ Տ Տ Ա Կ Ո

(պար թոյրուլո ծասե)

— ჩემო ծახვა, մաս սաხლი წამოუჭიმავს ვინც ხա, ჩემი აქ არ ყოფნაში, მარა ღმერთმა შეელა მისცეს და մաս გაჭირებაცაა ახლა შით.

— ეს սახლი კაცო დიდი ծაնკისაა...

— რავა ծაնკისაა, რას მატყუებ! ծანკი კარა თავ ქუდ მოღლეტილი მირბოდა შით მათე დოხ-თური...

— მერე რა?

— რაი და მშობიარე ქალი იქნება ვინცხა შით.

— კაცო, მათე დოხ-თური ყველაზე ღლავნია შით — სხელი მაინც არ გაგიგონია: „მათეს ծან-კიო“ ესაა ეგი.

— რავა, იმან ბებიობის მეური კიდო იცის რამე?

— თვარ იცოდეს არც დააყენებდენ.

— კი მარა, მაქანე დიდი საქმეები იქნება და უსტყება ყვერფელს?

— მისი საქმე არაა! — ვინ მოკითხავს განაჩენს; როცა უნდა მოვა, როცა უნდა წავა.

— არ გავკვირდი? რომ ასე თავ-აშობილი არ იცის ჩემი კვატუს დაბადებაზე კანკურაზ თავზე და ვინ მოაცლევიებდა ნეტე?

— სხვებიც იქნებიენ შით — იგინიც დოხთუ- რებია?

— არა კაცო, ერთი ლუკა სანაძეა და მეორეს კარქათ ვერ ვიცნობ — ზინგერშიდაც კი ყოფილა აღრელე, მერე მგონია ქართველთა სანიტრელი დოუინაში შევიდა, იქიდან სანარდიაში იყო კა ხანს და ახლა, რა კი ღუკა სანაძემ შეამოწმა, რომ თუ ქართული უნივერსტეტი არ გაქ გათავებული ისე გრანიცის ჩვენი ბანქში არ გამოდგებაო. მაგი მეიშვიერ...

— კი მარა, ღუკა დიდი ნასტავლია?

— მეგეცა დღენძელობა ხონურ ეშმაკობაში მაგი ნასტავლი იყოს და ისე კი „სიმონი კუნტის“ დემლაზია გაათავა, მარა მაგის სტავლიმ ჭირი წეი- ლოს, რომ ან მაგი ჩერდებოდეს შით, ზამთრობით საკამისიოთ დადის სხვადასხვა ქალაქებში და ზაფ- ხულობით კი პარქს ვაჭრობს და არ ცალია...

— მერე და ობჩამ კაცი ვერ ნახა მაგენის მე- ტი?

— შენ, ჩემო ძაკუ აქოური ანბები ჯერე რა იცი — აი რანაირი ლექსი შეუდგინეს მაგ ბან ქს:

მათე დოხ-თური კრუხათ ზის,
ლუკა სანაძე მამალათა,
ერისთო, მისე, მიხაკო
წიწილებათ და ამალათ.

მეზურნეთა პყავთ ვარლამი,
მაიმუნათ კი ემელი...
„ჯან-გელდის“ ანდრო გასძახის
ყველასი კუდის მენეველი.

კარებს ადგია ალექსანდრ
გარინდებული წყენითა,
მადა აღძვრია შიგ შესვლის,
ნერწყოს ილოკამს ენითა.

ილარიონმა „რეჩი“ სთქვა
ცოტა საწყენი ამალის,
კრუხი კაკანებს, კრიახობს,
დეზებს ისწორებს მამალიც.

არავინ უნდათ სხვა პირი, —
შინაური, თუ ეული,

„მათი“ სჯობია სულყველას
გნდ იყოს გადარეული ..

მე კი გთხოვ ჩემო ეშმაკო,
უცხუნო ტარ-კურთხეული!

ქეცერჩხო.



წერილი რედაქციას.

გთხოვთ საჩქაროთ დაგვიმოწმოთ, რომ „ეშმა-
კის მათრახის“ №32 დაბეჭდილი გამოცანა ლაგო-
დებისათვის ჩვენ არ გვეკუთვნის.

საფლე აბულაძე და კონსტანტინე ჩხე-
რია. *)



ლ. პ. ჩვენ თუმცა „მოდისტკობას“ ვერ დავიტრაბახებთ,
მაგრამ გვვინია ს: ცმელი ცოტა მოგრძოთ არის შეკერილი
და ბევრი ზედმეტი „აბორკა“ აყრია. თუ ნებას გვიბოძებთ
ამ უსწარმასწორობას ჩვენ შევალამაზებთ და იქნებ მიიღოს
პატრონშა. ყოველ შემთხვევაში, თუ საძნელო არ დარჩეს შე-
მოიარეთ: ელისაბედის ქუჩაზე 132 ნოვერში და იყითხეთ
ბინა № 6. აქ უფრო დაწვრილებით და დალაგებით მოვი-
ლაპარაკებთ.

როკოკოს ამბავი ძეველია.

ძალიან გძელია.

დაბეჭდვა ძნელია

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია იჩქარის, რაც შეიძლე
ბა ადრე დაადასტუროს თქვენი უდანაშაულობა, თუ რასაკვი-
რელია ფოსტამ არ დაიგვიანა და განაჩენი ჩვენი უურნალის
მიღებამდე არ იქმნა სისრულეში მოყვანილი.


მათრახის მათრახი



ს. რეაზონიძისა

იყიდება „განითლების“ ყველა აგენტებთან. ფასი 70 კ. საწყობი კანტორა განა-
თლებაში, თფილისი ოლგას ქ. № 6. 10—2

„ახალ კლუბის“ ცხოვრებიდან



როცა კიბის უკანასკნელ საფეხურს აათვებთ, მარცხნივ მიიხედვთ.

== გირზო 2 გირვანებ შეარი! ==

მომხმარებელ საზოგადოება

”აღორძინების“

8 5 8 8 9 2 5

ეძებს მოხალისებს, რომელთაც ზედმიწევნით უნდა იცოდენ ქ. ოფილისის უბნები და ქუჩები. აღმოსაჩინია უგზო-უკლოდ დაკარგული

”კარევიზიზ იმ კომ მისია“

თითო წევრის აღმოჩენაში მოხალისე მიიღებს ორ გირვანება შაქარს.

იჩქარეთ, საძვე არ ითვენე!